ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№5, 30 მაისი, ორშაბათი, 2022 წელი

სურამისა ციხეო...

შუა საუკუნეების სურამის ციხე-სიმაგრე აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე მდებარეობს. ციხე მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული, მონუმენტური ხელოვნების ნიმუში.

სურამის ციხე ორი მთავარი გზის შესაყარზე წამომართულა: ერთი, ლიხის გადასასვლელებით, დასავლეთისაკენ მიემართება, მეორე კი – ბორჯომის ხეობით, სამხრეთისაკენ.

სურამის ციხე-სიმაგრე კომპლექსს წარმოადგენს. მასში შედის გალავანი-ციხე, წმინდა გიორგის ეკლესია, კოშკი და სასახლე. ციხეს ჰქონდა გვირაბი, რომელიც 12-16 მეტრზე ეშვება, და რომელიც, გადმოცემის თანახმად, უკავშირდებოდა ამაღლების ეკლესიას და მდინარე სურამულას, საიდანაც სასმელი წყალი შეჰქონდათ ციხეში.

ზუსტი თარიღი, თუ როდის და ვინ ააგო სურამის ციხე „მაღალ კლდესა ზედა", ისტორიულად არ არის ცნობილი. XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის მიხედვით, სურამი და მისი ციხე-სიმაგრე აშენებულია ძვ. წ. II საუკუნის I ნახევარში, მეფე ფარნაჯომის მიერ, 200 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე. სურამის ციხის აგების ასეთ განსხვავებულ დათარიღებას ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მხოლოდ პლატონ იოსელიანი იძლევა.

ქართულ ისტორიულ წყაროებში, როგორც სტრატეგიული პუნქტი, სურამის ციხე მოხსენიებულია 1625 წლიდან, როდესაც იგი გიორგი სააკაძემ ირანელთაგან დასაცავად გაამაგრა.

1692 წელს სურამის ციხე თურქების ხელშია. მათი განდევნის შემდეგ, უმეფობის ხანაში, სურამის ციხე ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა ირანის წინააღმდეგ მებრძოლებისათვის. 1742-45 წლებში, ირანელთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, სურამის ციხე ზემო ქართლის სადროშოს უფროსის გივი ამილახვრის ძირითადი დასაყრდენი გახდა. პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით, აჯანყებულები თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდნენ, რომელთაც ნადირ-შაჰი უჭერდა მხარს. მეფეებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ზურგს ირანი უმაგრებდა, სურამის ციხის აღება ვერ შეძლეს. არ გაჭრა არც თვით თეიმურაზის მოლაპარაკებამ, არც შაჰის პატიების ფირმანმა და არც ციხისათვის ყუმბარების დაშენამ.

შაჰი იმდენად განაცვიფრა ამ ფაქტმა, რომ მხატვარი გამოგზავნა ციხის დასახატად. როდესაც ციხის სურათი მიუტანეს, შემოუთვლია: ციხეს ისეთი გალავანი შემოავლეთ, რომ ყოველგვარი მოძრაობა შეწყდეს და ალყა არ მოხსნათ, ვიდრე თვითონ არ შეგეხვეწებიანო. შემდეგ ციხე მალულად ორჯერ ააფეთქეს და კედლის დიდი ნაწილი ჩამოანგრიეს. მიუხედავად იმისა, რომ კარი თითქმის შემტვრეული იყო, ამილახვარი მაინც არ ნებდებოდა და ამჯერად დედოფლის მისვლას მოითხოვდა – მხოლოდ მას ვენდობიო. დედოფალ თამარის მისვლის შემდეგ მიუციათ მეფეებს უვნებლობის ფიცი. ამილახვარი ქალაქს ჩამოიყვანეს და სახლთუხუცესობა უბოძეს. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა სურამის ციხე XVIII საუკუნეში. ნადირ-შაჰი ამილახვარს ბოლომდე მაინც არ ენდობოდა და მისი ბრძანებით სურამის ციხე დაუნგრევიათ, თუმცა, ქართველებს მალევე აღუდგენიათ. 1756 წელს, აქ, ერეკლე II-ეს ქიზიყის მოურავი თამაზი ჰყავდა დატყვევებული.

სურამის ციხე ქართველთა მფლობელობაში 1783 წლამდე იყო. შემდეგ აქ რუსული გარნიზონი ჩააყენეს. 1792 წელს ერეკლე II-ის ანდერძში სურამის ციხე საქართველოს უმაღლეს ციხეთა შორის არის მოხსენიებული. 1801 წლის წყაროებით ციხე ისევ მოქმედია, ხოლო XIX საუკუნეში საქართველოს სხვა ციხეებთან ერთად, თანდათან დაკარგა მნიშვნელობა.

უძველესი დროიდან არსებობს თქმულება, თითქოს სურამის ციხის უძლეველობის მიზეზი ის იყო, რომ მის კედლებში ცოცხლად არის ჩაკირული დედისერთა ვაჟი, რომლის შესახებ დღესაც მღერიან ხალხში. ამ ლეგენდას მიუძღვნა დ. ჭონქაძემ თავისი ნაწარმოები ,,სურამის ციხე". ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იმ მხარეს, სადაც ზურაბი ჩააშენეს, დღესაც წვეთ-წვეთად მოჟონავს დედის ანკარა ცრემლი, რომ ყოველ მთვარიან ღამეს სურამის ციხესთან გამოდის შავებში გახვეული ქალის აჩრდილი და ტირილით შეჰღაღადებს ციხის ნანგრევებს:

„სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო,
ჩემი ზურაბ მანდ არის,
კარგად შემინახეო".

პოეზია

შოთა დარბუაშვილი



საკუთარ თავზე...

ჩემს მეხსიერებაში ცხინვალი დარჩა, როგორც ყველაზე კეთილი ადგილი დედამიწაზე...

საოცარი ქალაქი იყო...წყნარი, მეგობრული, საუკეთესო ხალხით, გოგო-ბიჭებით. ყველა ერთმანეთს ცნობდა და მაინც გამოუცნობნი ვიყავით... იასამნის სურნელი მახსოვს, გაზაფხულ-ზაფხულის წვიმები, ქათქათა თოვლით დაფარული ქუჩები. მიყვარდა ამ ქუჩებში მარტოს ხეტიალი და ოცნება... ვინ იცის, რამდენი ფიქრი გავანდე ჩემი ქალაქის ქუჩებს, განსაკუთრებით, ჩემი იქ ყოფნის ბოლო წლებში... ახლა რომ ვფიქრობ, იქნებ ვგრძნობდი, განშორება არც თუ შორი იყო. ასეა დღემდე...

2004 წლის შემდეგ, რაც დედა მივაბარე ცხინვალის მიწას, ჩემი ქალაქი ჩემთვის მხოლოდ სიზმარია. ასე მომეძალა პოეტური სევდა, ვერანაირად ვერ დავაღწიე თავი იმ ლირიკულ გმირს, რომელიც მთლიანად შეპყრობილია ცხინვალით.

ვაფასებ ნიჭიერ, ინტელექტუალურ ადამიანებს. ასეთები უმეტესწილად უბრალოებით გამოირჩევიან. ჩემთვის ამ ადამიანებთან ურთიერთობა ერთი სიამოვნებაა. თუმცა, განმარტოება მიყვარს... ბუნებით ხელოვანი ვარ, შემიძლია, მხიარულიც ვიყო, ზედმეტად გულახდილი და მიამიტიც კი... გულს ვერაფერს ვუხერხებ ხოლმე. ამიტომ, ბევრი სისულელეც ჩამიდენია, ისევ ჩემდა საზიანოდ.

ადამიანებში, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ კარგს ვხედავ. ბევრი რამის პატიება შემიძლია, თითქმის ყველაფრის... ვერ ვიგუებ ღირსებადაკარგულ კაცს და უსამშობლო ადამიანს.

სიყვარული განსაკუთრებული, თანდაყოლილი ნიჭია, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანშია... ხიბლში არასოდეს ჩავვარდნილვარ, არც საკუთარი თავით და არც ჩემი ლექსებით. სულ მდევს უკმარისობის განცდა.

არა მარტო ადამიანური, არამედ პოლიტიკური ბედისწერაც არსებობს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად დაუნდობელია. ჩვენ დიდი გეოპოლიტიკური თამაშის მსხვერპლი ვართ... იმდენი მზაკვრული სცენარი დაიწერა 90-იან წლებში დიდი იმპერიების შავბნელ კაბინეტებში, რომ მოხდა ის, რაც მოხდა... შესაძლებელი იყო თუ არა,კონფლიქტის თავიდან არიდება?ახლა, ამ გადმოსახედიდან ადვილია მსჯელობა, მაშინ კი მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა... ჩიხიდან გამოსავალი, რა თქმა უნდა, არსებობს. მთავარია, უარეს ჩიხში არ შეგვითრიონ.

დავბრუნდებით ოდესმე ცხინვალში? – ოდესმე, ალბათ, დავბრუნდებით, მაგრამ არა იმ რეალობაში, რაც ჩვენს გარშემოა. სამწუხაროდ, ურემიც გადაბრუნებულია და ხიდიც ჩატეხილი... 2008 წლის ომი საბედისწერო დანაშაული იყო, რამაც ისედაც დაპირისპირებული ოსები და ქართველები უფრო დაგვაშორა ერთმანეთს.

და მაინც, მომავალი თაობის დიდი იმედი მაქვს. ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს აღარ უნდა ვესროლოთ. თუ მოვინდომებთ, შეუძლებელს შევძლებთ და თავაწეულები დავბრუნდებით ჩვენს სამკვიდროში...

* * *

შეაშრება ქართლს აპრილის ცრემლი,
ცა შერჩება ცისარტყელას, ფერადს,
დავბრუნდებით? – ალბათ, მაგრამ როდის?!
სად წაუხვალ კაცი ბედისწერას...
ვნატრობ სურნელ-შეუდარელ ედემს,
ყვავილების ნაირფერად წალკოტს,
დავბრუნდებით ცხინვალს, ერედვს, ქემერტს?!.
თამარნაშენს დედასავით ვნატრობ...
აფთრებივით ავად დიან დღენი,
ომია და სინამდვილე მზარავს,
დრო კი გადის მწუხარების მფენი,
შეაჩერებს ვინმე ბოროტ ჯალათს?!
შეაშრება დედამიწას ცრემლი
და ეს ომიც დამთავრდება ზავით?
მოლოდინით, ეჭვით, რიდით, ჭმუნვით –
ჭკუით, ჩემო ქართველებო, ჭკუით!..

სევდათა დრო

ბევრს არაფერს გთხოვ, ცოტა მადროვე,
ფიქრიან სიზმრებს მე ცხადში ვხედავ
და, ახალ დროის თანამედროვე,
ტყუილს და მართალს უჩუმრად ვკენკავ...
ზოგჯერ ვჩქარობდი, წლები გავიდა,
ბევრი რამ დამრჩა შენთვის სათქმელი...
და ის ღრუბელიც შორით წავიდა,
მხრებზე რომ ედო ჩემი საშველი...
მეც ხომ შენსავით სევდას ვაცილებ,
ნაფერი მზით და ცრემლით ნალტობი,
ჩემს გულისკარზე ისევ ანთია
შენი ცის თაღის ლურჯი ტატნობი.
შენც გერგო ხვედრი ლექსის მწერალთა,
„მშვენიერს, ბედი სხვა არსად არის",
თუმცა, დრო დადგა სულ სხვა ღელვათა,
გული დაიხშო, დაბრმავდა თვალი...
ქვეყანა ყრუა და დევნილ პოეტს
შეაკრთობს ლანდი უცხო იერით,
ნათელზე მეტად წყვდიადი ფასობს,
აქ დღეც და ღამეც დარჩა მშიერი...
აღარაფერი აღარ მოხდება! –
ეს ხმა შორიდან გარკვევით გესმის,
„პოეტი მაინც ერთი ლექსია", –
გაგახსენდება და გული კვნესის...
ვერ გაიხარე... ალბათ ასეა,
რაც იყო, დარჩა წარსულში ახლა,
ეს აწმყო შენთვის თეთრი ღამეა,
სევდათა დრო და მთვარეთა მარხვა...
არაფერს არ გთხოვ, ეულად ვრჩები,
იმედის ფსკერზე ხილვებს ვაპურებ,
სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია,
როსმე, ეს ცრემლი გულზე მაპკურეთ!

* * *

დავიღალე ამ ცხოვრებით,
სიცოცხლით და სიკვდილებით!..
იმ „ნაცებით," ამ „ქოცებით,"
ამ ზღაპრებით და ოცნებით.
რომ სიზმრებში სიზმრებს ვხედავ,
ფოთოლცვენის ჩუმი სევდით,
მე, დევნილი ცხინვალიდან,
ლტოლვილ უკრაინელს ვხვდები...
დავიღალე ამ ევროპით,
ამერიკით, ვაი, რუსით,
ამ „ნატოთი," იმ „კატოთი,"
ამომხადეთ ბარემ სული!
მავთულხლართებს იქით შენ ხარ,
აქეთ მხარეს მე ვცოდვილობ,
მითხარ, შენ არ დაიღალე,
ოსო, შე ძველო ძმობილო?!
ამ მარტით და იმ აპრილით,
ამ მაისით, იმ ივნისით,
ამ პენსიით, შავი სიით,
ოპოზიცია-პოზიციით...
ვერა და ვერ გავილაღეთ,
დავიღალეთ, დავიღალეთ!

* * *

დავიარები მოსკოვს,
არა – „გუმსა"და „ცუმს",
არამედ, ვდგავარ ძეგლთან,
სადაც რუსთველი დუმს...
დუმილის ქარიშხალმა
ქვა ააცრემლა სულ,
პალესტინიდან ესმა
ხმა იდუმალი ყურს...
ნეტავ, თუ ესმის ჩემი
ძველს, თუნდაც, ახალ რუსს...
იქნებ შენს ძეგლთან დარდის
მზის ჩასვენება სურს...
საოცარია ბედი,
უკვდავთათვისაც, თუნდ,
ქვაში მოთლილი შოთა
უწყლო თევზივით დუმს...

***

ბოლოსდაბოლოს,
შეივსებიან,
ეს, ცარიელი,
სუფთა ფურცლები...
მე მიყვარს შენი
ფიქრების ფურცვლა
და პოეტური,
ფაციფუცები...

პ ო ე ზ ი ა

ლეილა ჯახელიძე

აკაციები

აკაციებო, აკაციებო,
მოატმისფერო მზეტაციებო...
აკაციების მოტკბო მტევნები,
ტანზე ეკლები, ვით სატევრები, –
(ეს გატაცება მომეტევება...)
მოიისფერო, მოთაფლისფერო,
აკაციები ვარდისფერები,
მყიფე ზემკლავით, ფართო ფორებით,
ჯადოსნურ ფერის ომოფორებით...
შორი-შორ ფრენენ მფრთხალი ქორები,
ზედ ბულბულები განახელები,
ტანაღერილი ღვალოს ღერები,
შამბი, ნარი და ჭინჭრის ხელები.
სისხამზე, მოლის სველი ფერები,
იქვე – ლიკლიკა, სანდო ღელეთი,
ფუტკრის ზუზუნა მისამღერებით...
მარადიული თბილი ციებით,
ჩემი ბავშვობის მზეტაციები,
თაფლისთვალება აკაციები,
ჩემთვის ძმები და თქვენთვის ძიები.
აკაციები... აკაციები...

ქართლში დავიბადე

ქართლში დავიბადე,
ქართლის პური მერგო,
აქ მოვტკეპნე ბანი
და უგანო ერდო.
აქ მოვწიე ბადე
და ლექსს გული ენდო...
მიზეზს ვეძებ, ცისკრის
სხივი დავიბედო.
ჩემო თრიალეთო,
კავკასიის ქედო,
თქვენი მირონ-მადლი
ხელისგულზე მედო.
თქვენი პულსი ვთვალე,
არაგვო და თერგო,
რვა მზე ჩამოვქარგე,
მეცხრე ცაზე ენთო...
ყველა ჩამოვთვალე,
რაც სიკეთე მერგო,
მე, ნესტანი ქაჯებს
როგორ დავანებო?!

* * *

იმ ძალას ვეძებ, რომელიც
მჭმუნვარს, სულს მომათქმევინებს
და ცოტას მომათმენინებს –
განა ქედს მომახრევინებს!
მერე იხუვლებს ერთბაშად,
ნარ-ეკალს მომათხრევინებს!..

მწუხრი

ნაქები მზე
ლაქებით
მადნება ხელში...
მოდის ნამქერი და
ქარვები
გიშერობს ბნელში.
ჩამოძენძილი
ნაკარვევი
მერგო მზითევში...
ბედო,
სასტიკი ნუ იქნები
ენკენისთვეში...

* * *

შეატმისფერდა ცის კიდე,
არმურში ამოდ ნავლები,
ბაჯაღლოს გვირგვინს მოიხდენს,
ეს, ტანშეშლილი ალვები...
გაიცრიცება მთის ქიმზე
უძილო მთვარე, ნამლევი,
ზვრები მზეს სულში ჩაიძვრენს,
ზღაპრულ თავგადასავლებით...
ზურგქარი მიდგას თავდებად,
ველი მაქვს გადასავლელი,
ნუმც იჯეჯილებს მტრის ხატი,
პირჩალაგამოსავლები!
„ღადარა" წყაროს ჩავირბენ,
სულმოსათქმელად დავლევდი!..
ლურჯ, საგვირგვინე ღიღილოს
მოვწნიდი, შემოვავლებდი...
სამყარომ ვით გადაწონოს
ეს, ერთი ციცქნა ავლევი...

სურამის ციხევ

სურამის ციხევ, ნაშალო,
თმაჩამოშლილო, წარბშავო,
ჟამი გარდაგხდა უშენო...
დრო ხან მზიანობს, ხან შავობს.
ზოგჯერ უმართლებს ვერაგებს,
ტირი ზურაბის ბედსაო,
იქვე უიღბლო ვერ აგებს
ლოდებს, დაკიდულს ქედსაო...
დედის სევდაო, შავ-შავო,
ციხის ბურჯების ნაშალო,
კალთაზე ზვაობს ავშანი,
ეგ დარდი ვინღა წაშალოს?..

პ ო ე ტ ი

იანვრის ღამის ცა
ვარსკვლავებს მოარიალებს...
სუსხიან ბუქებს
ავერცხლისფრებს
ახალი მთვარე,
თრთოლვით ვითვალე
ნაბიჯები
და დადინჯებით ვიტყვი:
პოეტი ალბათ გასცდა
სხვა არეალებს...
გლუვია, გლუვი
ამ, ქათქათა პლანეტის კიდე...
აითვლის გული
დაგა-დუგით დროთა იამებს
და ეძერწება
სული მთვარის
ყვითელ პერგამენტს...
აქ მოლოდინის გაცხადება
დაიგვიანებს?..

* * *

„მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას,
რაც ჩემი ნებით არ დამითმია..."
ო. ჭილაძე

არ გეგონოთ,
უქომაგოდ
გტოვებთ, მთებო,
მონისლულებს...
ვერ დაიდგამს
უფლის ნებით,
საქართველო
მონის უღელს!..
სულო,
ლაგამაწყვეტილო,
მტრედისფერი
დილის ტყვეო,
ჩემი ქართლის
გაზაფხულო,
ლამაზ სიზმრად
გინატრეო...

* * *

თენდება! ბრდღვიალებს
მზის აღმოსავალი...
„ვალი" მაქვს... წავალ და
დღეს ავლევს ავივლი...
ლივლივებს ფრონე და
იღვრება აისი.
ეს გზები, უჩუმრად
მიდიან თავის გზით...
ჩვეული სიდინჯით
შემომხვდა აბისი,
აბისის ჭადრებთან
ფრთას იტეხს ხალისი:
– ვინ ხარო?
– ნუ მკითხავთ!
იწვიმებს მაისი...
მოვწყვიტე ყვავილის
გვირგვინი ქარვისი...
გავცდები ცერონისს,
ავლევსაც ავივლი...
...თავნება გზები კვლავ
მიდიან თავის გზით...

ზედაზენზე

იდგა სიჩუმე
და ზღაპრულ ქედებს
არ სცილდებოდა თვალი.
ვეძებ... ამაოდ! –
დროს წაუშლია
წმინდანთა ნატერფალი.
ამღვრეულია
დილის ფერები,
მოჩანს ცის მრუდე რკალი...
ღმერთო, ნუ შემშლის
ეს სილამაზე,
მქონდეს ამ მიწის ვალი!

* * *

მტკივა მხარი, სოფლისაკენ
მიქცეული მხარი...
ფრონეს გაღმა ჩემი მხარე
ველარ მოვიმხარი...
აღარც დედა შემხვდა ლაღად...
აპრილს ვერ შევხარი...
გაზაფხული იდგა ზვარში,
ის, რტოგანახარი...
ნუშის ტოტზე გაეშალა
მზეს ღრუბლის სამხარი...
და სიჩუმე იდგა ჩემი
ნების მიუმხარი...

* * *

ისე მომენატრა ფანტელები,
როგორც გამხელილი
გრძნობა წინათ...
იყო იანვარი –
ფიფქით ნამხილები...
მერე გახელებულ
მზესთან იქორწინა.

ნომრის სტუმარი

დავით არახამია

კოსმიურ მტვერში

წინ სივრცეა დაბინდული, გზას ხელის ფათურით მივიკვლევ. მეჩვენება, რომ ეს გზა სხვაგვარად უხვევს მწვერვალებისკენ, ადრინდელს არ ჰგავს. მეუფლება ნაცნობ ფერთა მშვენიერების უცნობი განცდა... სხვანაირად შრიალებენ ხეები, სხვა სურნელი ასდით ვარდებს, სხვანაირად ბუბუნებს მდინარის ჩქერი.

წარმავალი ჟამის ფლატეზე ფარფატებს ფიქრი. ვგრძნობ მიწის სითბოს და ძალას. მთის კალთებზე ცრემლად დადენილი მდინარის ხმა მესმის. სიმაღლეთა ქონგურებიდან მთვარის შორი აჩრდილი მზვერავს. ღამე ჩუმად იწვის, სულში სიმშვიდე ბორგავს, ვილლები უსაშველო ფიქრით. ვშორდები წელმრუდ ღამეს, ვლოცულობ დღეზე... ქუფრში იშლება სინათლის კიბე, ღამეს ეცლება ძალა, იღება ცისკარი. ცისა და მიწის სურნელს შევიგრძნობ. ვცახცახებ... მთებიდან ამოწვერილი მზე ჭალებში ტაატით მიარწევს ნისლს. ნამი ბალახს ცრემლის წვეთებად დასდენია დაღარულ ტანზე და ფესვს ულბობს. ვლოცავ მიწას – გაპოხილს სისხლით, ცრემლით და ოფლით. ქრიან ქარები, ვხარობ თვალებბრდღვიალა მზით, ზაფხულის მხურვალე ცის ქვეშ...

ველზე ლაჟღაჟა ყაყაჩოს ცეცხლით ალმოდებულს, ძარღვებში ჩამიდგა სითბო. მზესავით იღიმის ყაყაჩო, მის ვნებიან ღიმილს მოაქვს თრთოლვა. მერცხლებმა ცის თაღი დასერეს, ისმის მძლავრი სუნთქვა სიცოცხლის. მწყურვალის ჟინით შევცქერი მწვანე გარემოს და დამპყრობლური მზერით ვისრუტავ. თუმცა, არ ვიცი, იმ შორეთში რა მელოდება ფიქრის მინდვრებზე მოხეტიალე მარადიულ მგზავრს, ოცნებებით დაღარულ ცაზე ანაზდად რომ უერთდება გალაქტიკის ბინადართა ნატერფალს.

კოსმიურ მტვერში ჩემი ოცნება სამოსშემოფლეთილი ლეგა ღრუბლების გვერდით დროის ღორღიან ღრმულში ქვითინებს. სიცოცხლე შუქურად იწვის მზის სისტემის ბაგეთა ცეცხლზე. წლები გარბიან, ნაოჭები გროვდება შუბლზე. ბურუსში ვარ, გზას ხელის ფათურით მივიკვლევ. გონის ხეთა შრიალში, ფიქრი სხივჩამქრალი მზის ჩალისფერ წამწამიდან მიემგზავრება უკვდავების წყაროზე... ჟამ მდინარ დედამიწას მშვიდად ვერ სძინავს...

* * *

მარწუხები უნდა შემოვხსნათ საკუთარ შებოჭილ აზროვნებას, შიშს და ქაოსს, ვიცხოვროთ ახალი რეალობით. ადამიანი რასაც ვერ ცვლის, ეს ბედისწერაა.

სამშობლოს სიყვარული მძიმე ტვირთია, უნიათო ვერ ასწევს მას. სულიერი წრთობის საწყისი უნდა ჰყვაოდეს. ფიქრში მოგზაურის დროული რეაქცია შანსია გადარჩენის, რადგან აღქმისა და დანახვის შესაძლებლობა ჩვენივე თავშია.

ჩვენს მხნეობას და სულიერ შეუპოვრობას ასაზრდოებს საკუთარი შესაძლებლობების იდუმალ თავისებურებათა წყარო. მაგრამ რატომღაც თავს ვაძლევთ უფლებას ილუზიაში ყოფნის. საკუთარი თავის შესაცნობად კი სიღრმეებში ვერ ვაღწევთ. სიბნელე სიბნელეს ვერ გააქრობს, ეს შეუძლია მხოლოდ სინათლეს. სამწუხაროდ, რა ცოდნაც გვაქვს, – ცნობიერებაც იქამდე მიდის.

ქართველები ოდითგანვე მიჩვეული ვართ ჭირვეულ ცხოვრებას. ჩვენი მეფეებიც სრულად იზიარებდნენ ტანჯული სამშობლოს სვე-ბედს. თუმცა, თუ ვინმე დიდი გამოგვერეოდა, დავკორტნიდით, განვგმირავდით. დავით აღმაშენებელზეც აღვმართეთ ხელი! მისკენ ნასროლი ისარი მკერდზე ჩამოკიდებულმა ხატმა აისხლიტა...

დროთა ყრუ-მუნჯი მდუმარების ციხე-კოშკებიდან უცხო ზარის ხმა მოგვდევს – შიშის ფოთოლზე აღგვილ ქეჩეჩოს სადარი, გადაჯიშების მდინარეთა ხრამიანი ნაპირებიდან. ქვეყნიდან გავაქციეთ მეცნიერები, ექიმები, ინტელექტუალები, შემოქმედნი... პოლიტიკოსებად იქცნენ შემთხვევითი ადამიანები. ქვეყნის მმართველ გუნდში ვაჭრები, სპორტსმენები, მსახიობები, ბიზნესმენები და მასხარები ავირჩიეთ და მივიღეთ ახალი, თვითდაჯერებული ,,ინტელიგენცია" – უმოტივო, ხმით. შემოლამებულ მტვრიანი ზეცის ნაგლეჯზე მოჩვენებითი სინათლის მოთქმაში ილევა ჩვენი ღირსების სანთელი...

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული მძაფრი ბრძოლა გვიწევს რუსულ იმპერიასთან. პრივილეგირებულმა ფენამ განადგურების პირამდე მიიყვანა ქვეყანა. ითრგუნება ეროვნული სული. მიდის გადაჩვევის პროცესი თავისუფლებასა და დემოკრატიულ ფასეულობებზე ფიქრის. ისმის კითხვა: თავისუფლება თუ მშვიდობა? გვახსენებენ ,,დათვის მორევის" უპირატესობასთან შეგუების ვალდებულებას! უნდა გავმართოთ ომი რეციდივების წინააღმდეგ, უნდა განადგურდეს ცნობიერში კერპები მრწამსის და მოქალაქეობრივი პოზიციის დასაცავად, გზა არ უნდა აგვერიოს, არ უნდა დავემსგავსოთ მონადირეს დაბურულ ტყეში. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, უკუნის წიაღ მხოლოდ უფლის ბილიკს აქვს სინათლე...

მატერიალიზირებულ 21-საუკუნეში დროის მოთხოვნა არ გვაპატიებს უმოქმედობას, რადგან ირგვლივ უგუნურობა ზეობს. ისეთი ჟამი დადგა, როგორი სისულელეც უნდა თქვა, ამით მეტ თანამოაზრეს იძენ. უდიდეს პასუხისმგებლობასთან ასოცირდება ეროვნული სულის და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება. დუმილით ნუ დავმალავთ წარსულს, სოფელქვეყანას გავაგებინოთ, რომ მცდარი ნაბიჯი არ გადავდგათ მომავლისთვის. მსოფლმხედველობაში ავსახოთ კაცობრიობის გამოცდილების გაზიარება ცხოვრებისეული კანონზომიერებით. მოსახვეჭელის მოხვეჭა კი არ უნდა დავისახოთ მიზნად, არამედ სულიერი საუნჯე უნდა მოვიხვეჭოთ, უფლის გზაზე შედგომით. უნდა შევძლოთ სულიერი და ინტელექტუალური ძალების მობილიზება.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რათა ახალგაზრდობა საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესდეს. ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ თავისუფალ ადამიანებად. თავისუფლება ღირსების მქონე ადამიანისთვის მსახურებაა ინტელექტუალური შრომითი სამყაროს შესამეცნებლად. ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ ახლებური აზროვნება და გონების გამოთავისუფლება დრომოჭმული საბჭოთა მენტალიტეტისაგან.

არ უნდა შევეგუოთ მავანთა მიერ დადგენილ დოგმებს. ჭეშმარიტი აზროვნება ვერასოდეს ჩაეტევა დოგმატურ ჩარჩოებში. აზრის დომინირება ემოციური მონობით არ უნდა გავაღარიბოთ. არ უნდა ვემსახუროთ დამპყრობელს, როცა ის მაცხონებელ მოძღვრებას ახარებს ჩვენში. ნუ დავდუმდებით მონობაში გადიდკაცებით, ნუ ვუგულებელყოფთ ისტორიულ ფაქტს. სიტყვებში ნუ ჩავდებთ განსხვავებულ შინაარსს. ყველაფერი ფარული გამომჟღავნდება! უნდა ვემსახუროთ ერს და ქვეყანას.

დიდი ტანჯვაა წყვდიადში ხელის ცეცებით ეძებდე პროგრესს, როცა შეჰყურებ ბნელით მოცულ კაცობრიობას. სამშობლოს სიკვდილის ჟამი უნდა შევაჩეროთ, რომ უკუნი ღამის მღელვარების კედელთან ჩვენი სულის გადასარჩენად ილიცლიცოს ნათელმა. ყველაზე დიდი ძალა არის ზნეობა, სიმართლე და მორალი. სანამ თიხად ქმნილა ყოველი, სურვილი არ მაქვს, თანაზიარი ვიყო უღმერთობის, არ მინდა სამარცხვინო, სისხლისფერი ლაქა შერჩეს ჩემს ეროვნულ თუ ადამიანურ ღირსებას. სანამ საფლავები აკვნესდებიან ლოდის სიმძიმით, უნდა გვახსოვდეს, ჩვენი სულიწმინდა ჩვენი უმაღლესი მე-ს ნაწილია.

ოდესღაც ჩვენს ნატერფალზეც მოდგება მიმწუხრის ჩრდილი, ჩვენი მუნჯი ლანდებიც დატოვებენ საწუთროს კედლებს. მაგრამ არ შეიცვლება სიტყვა თქმული, დრო დაკარგული და შესაძლებლობა გამოუყენებელი. სანამ კაცობრიობის დამრეც უფსკრულებში ჯერ კიდევ იმზირება უფლის თვალი, არ უნდა გავუშვათ ხელიდან შესაძლებლობა, გააზრების გარეშე არ უნდა წარმოვთქვათ სიტყვა და არ უნდა დავკარგოთ დრო, რათა ბინდის ფსკერზე არ დაგვრჩეს ცდუნებები და სინანული.

ღმერთის ფეხის ხმას მახვილი მზერა უნდა გავაყოლოთ. მილიონობით წლების იქით, როგორ მიგორავს მრწამსის გაფოთლილ ფრთებზე სამშობლოს მტკიცე ლოდი, რომ საკუთარ ისტორიის სულდგმულებაში ეძიონ და ჰპოვონ მომავალმა თაობებმა ჭეშმარიტად ქართულ-ეროვნული სულის ბგერა. ეს კი საწინდარი იქნება იმისა, სამშობლო ქვეყანას მარადიული ძილქუში არ დაეცეს...

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე